



დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ პირობები

1. ოპტიკური (GPON/P2P) და DSL მომსახურებ(ებ)ის/შეთავაზებ(ებ)ის მიმღები აბონენტები შეძლებენ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით, რომლის ფარგლებშიც მათ ეძლევათ შესაძლებლობა, აღიდგინონ დავალიანების გადაუხდელობის გამო შეზღუდული ძირითადი მომსახურება/ები და ისარგებლონ აღნიშნული ძირითადი მომსახურებ(ებ)ით გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამავე პერიოდში, ზემოაღნიშნული დავალიანების დაფარვისა და სადეპოზიტო/საავანსო თანხის სააბონენტო ანგარიშზე დარიცხვის გარეშე, რისთვისაც აბონენტებს ერთჯერადად დაერიცხებათ დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურების ღირებულება.
2. აბონენტს მომსახურების გააქტიურება შეუძლია ძირითადი მომსახურების შეზღუდვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3. მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სერვის ცენტრების, ცხელი ხაზის, ასევე კომპანიის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული აბონენტის საკონტაქტო ნომრიდან შესაბამის სპეციალურ ნომერზე (**90 001**) სმს შეტყობინების სახით აბონენტის ანგარიშის ნომრის გაგზავნით.
4. დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ ვრცელდება შემდეგი მომსახურებების/კომბინაციის მომხმარებლებზე:
 - 4.1. ფიზიკურ პირ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური ტექნოლოგიის შემდეგი მომსახურებებით: ცალკე მდგომი ინტერნეტი, ცალკე მდგომი სილქ ტვ ან სილქფონის, ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების ნებისმიერი კომბინაციით, ან სპეციალური შეთავაზებით (სამმაგი/ოთხმაგი, ს1 სამმაგი);
 - 4.2. ფიზიკურ პირ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ერთ სააბონენტო ანგარიშზე DSL ტექნოლოგიის შემდეგი მომსახურებებით: სატელეფონო, ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების ნებისმიერი კომბინაციით ან სპეციალური შეთავაზებით (სამმაგი/ოთხმაგი, ს1 სამმაგი).
5. სხვადასხვა ანგარიშზე არსებული DSL ტექნოლოგიის მომსახურებებისთვის დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე - თითოეულ ანგარიშზე (შესაბამისად თითოეულ ანგარიშზე განხორციელდება კრედიტის შესაბამისი ღირებულების ცალ-ცალკე დარიცხვა).
6. დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ არ ვრცელდება ცალკე მდგომ შემდეგ მომსახურებებზე: ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, S1, Silk UP და Silk TV Go, ასევე მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე, თუ აღნიშნული მომსახურებების სააბონენტო ანგარიშზე არ ფიქსირდება ოპტიკური/DSL სილქ ტვ ან/და ინტერნეტ მომსახურება.
7. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ აბონენტი ისარგებლებს იმ შემთხვევაში, თუ სილქ ტვ ან ინტერნეტ მომსახურების ინსტალაციიდან გასულია არანაკლებ 2 (ორი) თვე. თუ ერთ სააბონენტო ანგარიშზე ჩართულია ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურება ერთად, კრედიტით სარგებლობისათვის ერთი-ერთი მომსახურების ინსტალაციიდან გასული უნდა იყოს არანაკლებ 2 (ორი) თვე.
8. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის ვადა განისაზღვრება მისი გააქტიურებიდან 3, 7, 15 ან 30 კალენდარული დღით (აბონენტის სურვილის მიხედვით) (ტარიფები იხ. კომპანიის ვებ გვერდზე www.Silknet.com).



9. იმისათვის, რომ აბონენტებმა ისარგებლოს დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“, მან უნდა დააფიქსიროს დამატებითი მომსახურებით სარგებლობის სურვილი, მომსახურების მე-3 პუნქტით განსაზღვრული გააქტიურების საშუალებებით.
10. დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ აბონენტს საშუალებას აძლევს დავალიანების გადაუხდელობის გამო შეზღუდული მომსახურება(ები) გააქტიუროს მე-8 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი ვადით. აღნიშნული დამატებითი მომსახურებით ხდება აბონენტის ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებული ყველა მომსახურების აღდგენა (ინტერნეტი, ტელევიზია, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, S1, Silk UP და Silk TV Go).
11. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი მომსახურებ(ებ)ის მიწოდება შეზღუდულია დავალიანების გადაუხდელობის გამო.
12. აბონენტს დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურება შეუძლია მომსახურებ(ებ)ის დავალიანების გადაუხდელობის გამო ძირითადი მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ამასთან, ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვამდე და მხოლოდ ერთხელ. შეზღუდულია დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურების სხვადასხვა ვადით ერთდროულად სარგებლობის შესაძლებლობა.
13. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ შეწყვეტისთვის საკმარისია, აბონენტმა დაფაროს ვადაგადაცილებული დავალიანება.
14. სხვადასხვა ძირითად მომსახურებებზე/ შეთავაზებებზე, სააბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დავალიანების ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, მოხდება დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის შეწყვეტა (მიუხედავად იმისა, ამოიწურა თუ არა „კრედიტით“ სარგებლობის ვადა). ამასთან, გარდა მე-13 და მე-14 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა, გააქტიურებული დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ არ გაუქმდება „კრედიტის“ მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
15. მომსახურება „კრედიტით“ სარგებლობის პერიოდში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს შეეზღუდება ძირითადი მომსახურება(ები) დამატებით მომსახურება „კრედიტის“ მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.
16. მომსახურებით „კრედიტი“ მოსარგებლე აბონენტისთვის, დავალიანების გადაუხდელობის გამო ძირითადი მომსახურებ(ებ)ის / შესაბამისი ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის (გაუქმების) პერიოდი აითვლება მომსახურების „კრედიტი“ ფარგლებში გააქტიურებული ძირითადი მომსახურებ(ებ)ის ბოლო შეზღუდვიდან.
17. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურების ღირებულების დარიცხვა განხორციელდება ერთჯერადად, დამატებითი მომსახურების გააქტიურებისთანავე.
18. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის პერიოდში აბონენტს დაერიცხება იმ ძირითადი მომსახურებ(ებ)ის სტანდარტული სააბონენტო გადასახდელი, რომლებზეც გავრცელდა მომსახურებით "კრედიტი" სარგებლობის უფლება.
19. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურების ღირებულება აბონენტმა უნდა დაფაროს კრედიტის გააქტიურების თვის მომდევნო თვეში, სააბონენტო გადასახდელის გადახდისთვის დადგენილი თარიღისთვის.
20. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის პერიოდში დარიცხული სააბონენტო გადასახდელი აბონენტმა უნდა დაფაროს დამატებითი მომსახურებით



სილქნეტი
SILKNET

სარგებლობის შესაბამისი თვის სააბონენტო გადასახდელის გადახდისთვის დადგენილი თარიღისთვის.

21. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის პერიოდში შეზღუდულია ძირითადი მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების შესაძლებლობა.

22. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ სატარიფო ცხრილი

დამატებითი მომსახურების „კრედიტი“	ტარიფები (ლარი)
ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დამატებითი მომსახურების "კრედიტი" 3 დღიანი მომსახურების გააქტიურების ღირებულება	1.50 ლარი
ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დამატებითი მომსახურების "კრედიტი" 7 დღიანი მომსახურების გააქტიურების ღირებულება	2.00 ლარი
ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დამატებითი მომსახურების "კრედიტი" 15 დღიანი მომსახურების გააქტიურების ღირებულება	3.50 ლარი
ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დამატებითი მომსახურების "კრედიტი" 30 დღიანი მომსახურების გააქტიურების ღირებულება	4.00 ლარი